ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2632407

ნომერი: AR1403444

თარიღი : 11.05.2016

გაცემის თარიღი : 13.06.2016

გაცნობის თარიღი : 15.06.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წულუკიძე , N15-17 -ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა წულუკიძე , N 15 / ქალაქი თბილისი , წულუკიძის ქ. N17-19 / ქალაქი თბილისი , წულუკიძის ქუჩა N17ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავლოსტი გობეჯიშვილი პ/ნ 62011000283
- გუდაუთა სოფ. ახალსოფელი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.12.2014 წ. #1597795 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 11.05.2016 წ. #AR1403444 განცხადებით მომართა დავლოსტ გობეჯიშვილმა და მოითხოვა 01.12.2014 წ. #1597795 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის მიერ 01.12.2014 წ. #1597795 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, #01.17.10.012.122

(ფართობი 842 მ2)) საკადასტრო ერთეულზე საწყობი/ების და ადმინისტრაციული შენობა–ნაგებობის აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად განმცხადებელი ითხოვს პირობებში დამატებით #01.17.10.012.132 (74 მ2) საკადასტრო ერთეულის გეგმის დაფიქსირებას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.12.2014 წ. #1597795 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს - 916 კვ.მ. საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს- #01.17.10.012.122 და #01.17.10.012.132;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.12.2014 წ. #1597795 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს შენიშვნა:
   - პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილი იქნას #01.17.10.012.122 და 01.17.10.012.132 საკადასტრო ერთეულების გაერთიანებული საკადასტრო გეგმა;
   - საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება ვალდებულება – შეზღუდვა დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე, გამომდინარე აქედან მშენებლობის ნებართვის შემდგომ ეტაპზე დაცული ან ამოღებული უნდა იქნეს აღნიშნული ვალდებულება;
   - საჭიროებისამებრ უნებართვოდ ან/და სამშენებლო დოკუმენტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის შემთხვევაში მოხდეს მისი დემონტაჟი და ამის შესახებ ეცნობოს ზედამხედველობის სამსახურს, ან საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის II პუნქტი თანახმად, დამრღვევის მიერ პროექტის შეთანხმების სტადიაზე, წარმოდგენილი იქნას შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტი და ჯარიმის ქვითარი;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.12.2014 წ. #1597795 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.